

Khatuna Nishnianidze

ხათუნა ნიშნიანიძე

Tbilisi Theological Academy and Seminary

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Davit Guramishvili's Georgian Language

დავით გურამიშვილის ენა ქართული

Davit Guramishvili's Georgian language embodies the "Georgian Chronotope," emphasizing linguistic consciousness as central to national identity and resilience. Despite decades away from Georgia, he preserved an extraordinary connection to his native tongue, viewing it as timeless and vital for spiritual and national salvation. Guramishvili desacralized the old linguistic style, introducing a renewed, accessible paradigm akin to the simplicity of the Gospels. Guramishvili expresses his ideas in verse, mimicking works like "The Book of Psalms" and "The Knight in the Panther's Skin". Guramishvili's language embraces and unites the Georgian linguistic (pagan and Christian) spatiotemporal visions, rhythms and intonations, as well as foreign tunes, sounds and motives.

Keywords: David Guramishvili, „Davitiani“, Georgian language, „Georgian Chronotope“

საკვანძო სიტყვები: დავით გურამიშვილი, „დავითიანი“, ქართული ენა, „ქართული ქრონოტოპი“

დავით გურამიშვილი ეროვნული მწერალია, „დავითიანის“ ენა ქართული ქართლის დრო-სივრცული საზრისის, „ქართული ქრონოტოპის“ გამომხატველი და მატარებელია. აღნიშნულ წერილში შევეცდებით, წარმოვაჩინოთ დავით გურამიშვილის ენობრივი ცნობიერების გამომხატველი, განმსაზღვრელი რამდენიმე მახასიათებელი, რაც, ასევე, მჭიდროდაა დაკავშირებული ავტორის მსოფლმხედველობრივ და შემოქმედებით კონცეპტებთან.

რევაზ სირაძე წერილში „დრო და ჟამი“ წერს, რომ „*ეროვნული მიმართება ქრონოტოპისადმი ყველაზე მეტად ენაში მკვლევანდება... ამასთანავე, ენა ზედროულია. ენაა ნივთიერი სავანე ზედროულობისა*“ (2008, გვ. 27). გურამიშვილის ენა ქართული ჟამიერიცაა და ზედროულიც, რეალურის, მშვინიერისა და სულისმიერის/ირეალურის ზედმიწევნითად გამომხატველი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილიას დარად, გურამიშვილისთვისაც ნაციონალური განვითარების, ეროვნული ხსნის ერთ-ერთი უმთავრესი გზა „*მამული ენის*“, ენობრივი ცნობიერების აღდგენა, განახლება და შენარჩუნება იყო. ენა გურამიშვილის ნაციონალური და სარწმუნოებრივი ცნობიერების, იდენტობის დულაბია. გურამიშვილმა ღვთაებრივ ჭეშმარიტებას უნდა აზიაროს ქართველი, „*სიტყვა ლოგოსი* [კი – ხ.ნ.] *შეიგრძნობა მხოლოდ მშობლიური ენის წყალობით*“ (სირაძე, 1987, გვ. 185), ეს ჭეშმარიტება არაერთგზის დადასტურებულა ქრისტიანობის ისტორიაში. მოციქულებს კაცთათვის ქრისტიანობის ქადაგება სწორედ მშობლიურ ენაზე განესაზღვრათ. დავით გურამიშვილის სასწავლო-აღმზრდელობითი, დიდაქტიკურ მისია, რაც მიზნად ისახავს ცნობიერების სრულყოფას საღვთო ჭეშმარიტების შემეცნებას გზით, რა თქმა უნდა, ვერ განხორციელდება ენობრივი მსოფლმხედ-

ვის, მსოფლადქმის მიღმა, იგი მხოლოდ მშობლიური ენის გზით არის შესაძლებელი. ენის ზედრო-
ულ შინაარსს ამოწმებს წმ. ეფრემ ასურის აზრი მეუდაბნოეებზე: „*ეკლესიად ჰქონდათ ენა თვისი*“.

სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული ენის ენერგეტიკული თეორიის თანახმად, ენა როგორც გონითი ძალა მონაწილეობს: 1. ცნობიერების აგებაში; 2. ისტორიისა და კულტურის აგებაში; 3. ქმნის ენობრივ სოციუმს – ერს (რამიშვილი, 2000, გვ. 10). მშობლიური ენა ერისა და ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია. რა და როგორ მიაქვს მწერალს სამყარო/სათქმელი მკითხველ/მსმენელამდე ეს დამოკიდებულია იმ ენობრივ მსოფლხედვაზე, რომლითაც გურამიშვილი დაკავშირებულია საკუთარ თავთან და გარე სამყაროსთან. მაგრამ, უპირველესად, „*ეთნიკური სუბიექტი დედაენის საფუძველზე იქმნის ისეთ თვალსაზრისსა და ხედვას სამყაროზე, როგორც ამას თავად დედაენა განუსაზღვრავს მას. ამგვარად, დედაენა „ჩასმულია“ სუბიექტსა და სინამდვილეს შორის, ის არის შუა სინამდვილე*“ (რამიშვილი, 2000, გვ. 38-42). ამავე კონტექსტშია გასააზრებელი ის სახე-ხატებიც, რომლებიც ლიტერატურული და სარწმუნოებრივი გამოცდილებით, ენობრივი მეხსიერების გზით, მკვიდრდება გურამიშვილის პოეზიაში. ფიზიკური/გარე სამყარო, გეოგრაფიული ლოკაციები – საქართველო, კავკასია, რუსეთი, უკრაინა, დასავლეთ ევროპა, სადაც მცირე თუ ხანგრძლივი დროით მყოფობს გურამიშვილი, აღქმული და გააზრებულია მშობლიურ ენაზე, მშობლიური ენით ახდენს უცხო გარემოში ორიენტირებასა და თვითიდენტიფიკაციას პოეტი.

ექსპერიმენტიც დადასტურებულია, რომ ადამიანი ენობრივი არსება, უფრო ზუსტად, „*დედაენობრივი არსება*“ (ბრეგაძე, 2013, გვ. 355). ერთი შეხედვით, უცნაურია, მაგრამ შვიდი ათეული წლის მანძილზე მშობლიურ წიადს მოწყვეტილ გურამიშვილს არ დაუკარგავს ცოცხალი განცდა თავისი ქვეყნის საჭიროებათა, ენობრივი ალღო და შეგრძნებები. ენაში აკუმულირდება გურამიშვილის პიროვნული, ნაციონალური და სარწმუნოებრივი წარმოდგენები. „*ასეთი ბუნების ადამიანი, არ შეიძლება და დენაციონალიზაციის პროცესს დამორჩილებოდა*“ – წერდა გერონტი ქიქოძე (1985, გვ. 285) გასაოცარია, იდუმალეებითაა მოცული, როგორც მოვლენა, დავით გურამიშვილის „*მამული ენა*“ (ნ. ბარათაშვილის ტერმინი), შენახული, დაცული ქართული. იგი მისთვის მართლაც „*უხილავი საუნჯეა*“, რომელსაც „*ხელი არ შეაკარების*“ (გურამიშვილი, 2014, გვ.19, სტ.33), რომელსაც არ ეხება არც დროის მდინარე და არც გეოგრაფიული ცვლილებები. დავით გურამიშვილის სამკვიდრო ქვეყნიდან იძულებით გასვლა არა მხოლოდ მისი ფიზიკური, არამედ სულიერი, გნებავთ, ენობრივი გადარჩენის, კვლავგანახლების საფუძველი ხდება. საგულისხმოა რევაზ სირამის მოსაზრება: „*როცა საქართველოდან შორს მცხოვრები დ. გურამიშვილი ახლებურ პოეზიას ამკვიდრებდა, თბილისის პოეტურ მეჯლისებში კვლავ სპარსული ჰანგები გაისმოდა. და ის, რომ საქართველოში ერეკლეს ხანას მოსწრებოდა, ვინ იცის, იქნებ, სულითა და ხორციტ სრულყოფილი პოეტი სპარსულ ჰანგებზე მომდერალთაც გასჯიბრებოდა*“ (1982, გვ.217). ბექან კილანავას აზრითაც: „*ქართული ემიგრანტული პოეზია ღრმად ეროვნულია, მაჰმადიანური ლიტერატურული გავლენისაგან თითქმის დაზღვეული*“ (2009, გვ. 204). ადრეული შუა საუკუნეებიდან მომდინარე საზღვარგარეთ არსებული საღვთისმეტყველო-საგანმანათლებლო სკოლები ერთგულად მსახურებდნენ ქართულ იდეას, ამის დასტურია პალესტინის, შავი მთის, ათონის, პეტრიწონის ლიტერატურულ სკოლათა საქმიანობაც. აღნიშნულია, რომ მერვე-მეცხრე საუკუნეებში საქართველოში კი არა, სწორედ შავ მთაზე, საბაწმინდის მონასტერში გატარდა სამწერლობო ენის რეფორმა – ხანმეტობიდან ჰაემეტობაზე გადასვლა. ამ თვალსაზრისითაც დავით გურამიშვილი საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა შთამომავალია, „*განახლებული ქართულის*“ შემოქმედი. თითქოს, ექვთიმე მთაწმინდელის დარად, იგიც ღვთისმშობლისგანაა კურთხეული სიტყვებით: „*ქართულად ხსნილად უბნობდი*“. ენა, ისევე როგორც ქართული იდეა, მისი სულიერი და ხორციელი არსებობის საფუძველი, საკუთარი თავისა და ქვეყნის ურყეობისა და ერთობის გარანტი გახდა. საგულისხმოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიიდან ემიგრირებული თომას მანინც იტყვის: „*სადაც მე ვარ, გერმანული კულტურაც იქ არის*“ (თათარაშვილი, 2013, გვ. 48). გურა-

მიშვილიც ინარჩუნებს, ზოგადად, კულტურულ და ენობრივ სიმტკიცესა და უცვალბლობას. დავით გურამიშვილის „მამული ენის“ დაუვიწყებლად ხსოვნის გამართლებაც რუსული ენის ხეირიანად ვერდასწავლის არგუმენტით დამაჯერებლობასაა მოკლებული. ცნობილია, რომ დავით გურამიშვილი 1747 წელს ელისაბედ დედოფლის სახელზე რუსულ ენაზე დაწერილ პრაპორშჩიკად დაწინაურების თხოვნას ხელს ქართულად აწერს, ხოლო 1755 წელს გურამიშვილისთვის პოდპორუჩიკის ჩინზე უარის თქმას მისი რუსული ენის არცოდნით ამართლებენ (სახელმწიფო სამხედრო ცენტრალურ ისტორიულ არქივი ЦГВИА, ფონდი 10, შკ. 20, საქ. 17, ფ. 365). დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1760 წელს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების მოსურნე დავით გურამიშვილი ელისაბედ დედოფლის სახელზე დაწერილ თხოვნას ხელს რუსულად აწერს. ქართული ენისადმი, როგორც ქართული იდენტობისადმი გურამიშვილის უპირობო ერთგულების ალუზიად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის სამხედრო ექსპედიციებში მონაწილე ქართველების, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო თავდადება/ერთგულება ქართული სამოსისადმი. 1741 წელს, სამხედრო კოლეგიის დადგენილებით, ჰუსართა პოლკები ერთნაირ ფორმაში უნდა გამოეყობილიყვნენ. საგულისხმოა ქართველ ჰუსართა პოლკის მაიორის ელისე ამილახერისა და კაპიტან პაპუნა ციციშვილის 1741 წლით დათარიღებული თხოვნა სამხედრო კოლეგიისადმი. ჩანს, უცხოთა ომებში დამაშვრალ ქართველთ, ეროვნული იდენტობის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოხატულებად სწორედ ქართული ფორმადა შემორჩენოდათ. თავგამოდებით, ცოტა ბავშვური გულუბრყვილობითაც ამტკიცებდნენ – გამოსადეგი და კომფორტულია, სიძველით კი – ალექსანდრე მაკედონელის დროინდელიო. ქართველ ჰუსართა ასეულში გაერთიანებულთ, უცხო ქვეყნის ხიზანთ, უმეფოდ დარჩენილთ, მოსალოდნელი ეროვნული საფრთხის შიშით, სენატისგან მოუთხოვიათ და პირობაც მიუღიათ – მუნდირი და ამუნიცია ყოველთვის ჩვენი, ქართული უნდა გვქონდესო. მაგრამ სულ მალე სამხედრო კოლეგიისთვის თხოვნაცა და არგუმენტებიც ამაო აღმოჩენილა და 1743 წელს ქართული ფორმა და ამუნიცია აუკრძალავთ, მის ტარებაზე კი მკაცრი კონტროლი დაუწესებიათ (ყუბანეიშვილი, 1955, გვ. 74-75). შუა საუკუნეების ცნობიერებაში ნაციონალურ სამოსის ტარება დაკავშირებული იყო ეროვნულ იდენტობასთან, ამ შემთხვევაშიც ქართული სამოსის ტარება საქართველოს უკავშირდებოდა და ადამიანის ცნობიერებაში საქართველოსთან დაკავშირებული ყველა დადებითი შთაბეჭდილებას ააქტიურებდა.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მე-18 საუკუნე, დავით გურამიშვილის მოღვაწეობის ეპოქა, დიდ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგანმანათლებლო ცვლილებებთან ერთად მნიშვნელოვან სიახლეებს გვთავაზობს სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისითაც. სულხან-საბასა და ვახტანგ მეექვსის ღვაწლი ამ თვალსაზრისითაც განუსაზღვრელად დიდია.

„მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. ამ დროს სულხან-საბას ხელში სალიტერატურო ენამ დაიბრუნა ერთ დროს დაკარგული მონოლითურობა... არქაიზაციისაკენ ერთგვარი გადახრა შეგნებული ხერხი იყო სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის. ვახტანგთან ეს არქაიზმები სტიქიურად მომდინარეობენ წინა საუკუნის მწერლობის ენისგან. ვახტანგ მეექვსეს ტიტანური ლიტერატურული შრომა აქვს გაწეული... და ბუნებრივია, გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა მისი დროის სალიტერატურო ენის განვითარებაზე“ (გიგინეიშვილი, 1983, გვ.15-16).

აღსანიშნავია, რომ დავით გურამიშვილი, ათეული წლებით უცხო მიწაზე მყოფი და მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი, უპასუხებს ეპოქის მაჯისცემას, თავს უყრის და აგვირგვინებს ენის უნიფიკაციის პროცესს. ალექსანდრე ბარამიძე შენიშნავდა, რომ დავით გურამიშვილს „ღვთისმშობლის ტირილში“ განმეორებული აქვს ვახტანგის გამოთქმა – „ჩემნი იწვიან ნაწლევი“, – აღნიშნავს ივანე გიგინეიშვილი და დაასკვნის: „ნახევარი საუკუნის შემდეგ დავით გურამიშვილის ლექსში – „ჩემნი

იწვიან ნაწლევი, ვხედავ შენს ჯვარზე ვნებასა“ – შეთანხმება დაცულია როგორც სახელისა სახელთან (ჩემნი ნაწლევი), ისე ზმნისა სახელთან (იწვიან ნაწლევი), ვახტანგთან კი ეს შეთანხმება დარღვეულია: „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევი მარიამისა“ (გიგინეიშვილი, 1983, გვ. 18].

მშობლიური ენის წიაღში შემოიკრებს და აერთიანებს დავით გურამიშვილი მულტილინგვისტური სამყაროს მრავალფეროვნებას. „დავითიანის“ პოეტური სიტყვა შინაარსობრივ-თემატური, ჟანრობრივ-ინტონაციური, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი და მრავალფეროვანი განცდამოციების შესაბამისად, ასევე მრავალფეროვანი, გამორჩეული და სრულყოფილია. სიტყვა, სათქმელი სიმწობრივითა და მაქსიმალური სისრულით გამოითქმის, ფორმა ერთიანად და მთლიანად ეთანადება სათქმელს. ამ ენობრივი მახასიათებლის შესახებ იტყვის ვალერიან გაფრინდაშვილი: „გურამიშვილს აქვს ქართული პოეზიის ყველა რიტმი. მისი რითმა მდიდარია და მოულოდნელი“ (გაფრინდაშვილი, 1986, გვ. 101). მოიცავს აერთიანებს ქართულ ენობრივ (წინარე და ქრისტიანულ) დროსივრცულ წარმოდგენებს, რიტმებსა და მელოდიებს, მას უთანადებს უცხო კილოებს, ხმებსა და მოტივებს. „პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის წარმომადგენელი წარმართულ ტაძრებსა და დღესასწაულებს სპობდნენ და მათ ადგილას ქრისტიანულს აფუძნებდნენ, წარმართული ჰიმნების მაგიერ ქრისტიანულ ჰიმნებს თხზავდნენ. ასე იქცევა დავითი: ხალხური სიმღერების სანაცვლოდ, მათ კილოზე, ის თხზავს სარწმუნოებრივ-მორალური და ასკეტური შინაარსის ლექსებსა და სიმღერებს“ (კეკელიძე, 1981, გვ. 65).

სიმარტივე/უბრალოება გურამიშვილის პოეზიის ენობრივი ქსოვილის არსებითი მახასიათებელია. საღვთო ჭეშმარიტება, რომლის ძალმოსილებაც ხილული, ყოფით-ხელშესახები მაგალითებით ან ლირიკული დადადისით უნდა შეაცნობინოს გურამიშვილმა მკითხველს, ამგვარ ენობრივ უბრალოებას ითხოვს. ერის აუერბახი წერს:

„წმინდა წერილი იმათ მიემართება, ვისაც უბრალო და მორწმუნე სული უდგას. უბრალო სული უნდა გედგას, რათა ეზიარო წმინდა წერილს, რომელიც იმას არ ესწრაფვის, რომ რაციონალურად ჩასწვდეს, არამედ იმას, რომ სწორედ გვაზიაროს; ფარული და იდუმალი, რასაც წმინდა წერილი მოიცავს, აგრეთვე არ გადმოიცემა „მაღალი სტილით“, არამედ – უბრალო სიტყვებით. ასე რომ, ყველას ძალუძს, თითქოს საფეხურებზე მიაბიჯებსო, უუბრალოესიდან ავიდეს ღვთაებრივამდე და ამაღლებულამდე. როგორც ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში“ ბავშვებივით უნდა ვკითხულობდეთ წმინდა წერილს“ (Ayapmax, 1976, გვ. 165).

კითხვას – თუ რა ენობრივ-გრამატიკული ალლო წარმართავს პოეტის სწორუპოვარ ქართულს? – სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დასკვნების სახით ვუპასუხებთ. ბესარიონ ჯორბენაძე დავით გურამიშვილის სტილისადმი მიძღვნილ წერილში „დედაენის მესაიდუმლე“ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებების საფუძველზე ქმნის ესკიზს დავით გურამიშვილის სტილის საკითხებზე. რამდენიმე პუნქტად გამოყოფთ წერილში გამოთქმულ იმ მახასიათებლებს, რითაც პოეტი გამოირჩევა ენობრივ სივრცეში: 1. ქართული პოეზიის ფასეული მონაპოვარი მან თავის გულსა და გონებაში გარდაქმნა და ქართულ ლექსს ახალი სიცოცხლე და მზეობა შემატა. 2. უცხო პოეტურ კილოთა გაქართულებით მან არა მხოლოდ გაამრავალფეროვნა ქართული პოეზია, გააფართოვა მისი თვალსაწიერი და ტრაფარეტად თუ უღიმდამო სქემად ქცეული შაირობისგან დააღწევინა თავი ქართულ ლექსს. 3. დავით გურამიშვილმა ქართული ენის ტრადიციები ორგანულად შეუხამა ქართული ენის თავისდროინდელ ცოცხალ მეტყველებას, კერძოდ, არაგვის ხეობის ქართლურ მეტყველებას, რომელშიც უხვად იჩენს თავს როგორც ბარის, ასევე მთის კილოებისათვის ნიშანდობლივი მოვლენები (გ. ლეონიძე, შ. ძიძიგური). 4. ეს ყველაფერი ერთფეროვნების შთაბეჭდილებას დატოვებდა, დავით გურამიშვილის პოეტური ალლო რომ არ გრძნობდეს სტილური გადახალისების აუცილებლობას...მან შეძლო ხალხურ კილოზე უზადლოდ აემეტყველებინა „ღვთის სადიდებელი“ (რ. ბარამიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პოეტი ენობრივად განარჩევს სხვადასხვა შინაარსის მქონე ეპიზოდებს. სასულიერო თემატიკაზე დაწერილ

ლექსებში იგი უპირატესად არქაულ ფორმებს იყენებს, საერო თემატიკაზე შექმნილი ლექსები კი, პირიქით, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმათა სიუხვით გამოირჩევა).

5. „ყოველი ნიჭიერი პოეტის მეტყველებაში ახლებურ ელვარებას იწყებს ენა... გაცვეთილი სიტყვებიც ახლებური ფერადოვნებით წარმოჩნდებიან, როგორც მტვერთან განწმენდილი თვალი პატიოსანი... დავით გურამიშვილთან ახლებური ჟღერადობა აქვს მინიჭებული თითქოსდა კარგად ცნობილ სიტყვებსა და აზრს. ახლებურ შეხამებაში სიტყვა ახალ სიცოცხლეს იძენს. დავით გურამიშვილმა ფანტასტიკურ-ჰიპერბოლური ბანგიდან გამოიყვანა ქართული პოეზია და ცხოვრებისეული, მოქალაქეობრივი ჟღერადობა მიანიჭა.“... „სიტყვათშეთანხმება განუყრელადაა დაკავშირებული ახალი პოეტური სამყაროს შექმნასთან“ (ჯორბენაძე, 1987, გვ. 33-37).

ვფიქრობთ, ბესარიონ ჯორბენაძის წერილიდან მოხმობილი ვრცელი ციტაცია სრულად გამოხატავს დავით გურამიშვილის პოეტური ენის ბუნებას, რამაც ბევრად განსაზღვრა ქართული პოეტური ენის განვითარების შემდგომი გზა. ასე რომ, გურამიშვილი ენობრივი თვალსაზრისითაც შეუმცდარი ავტორი და ახალი გზის განმსაზღვრელი გახდა.

დავით გურამიშვილის, როგორც შემოქმედის, დრო-სივრცული ორიენტირი – პიროვნული, ნაციონალური, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი, ესთეტიკური წარმოდგენების კვალდაკვალ ენობრივი მსოფლმხედვის საფუძველზეც განისაზღვრება. გურამიშვილი თავადაც მთარგმნელ-განმმარტებელია, წინასწარმეტყველთა მსგავსად ღვთის სიტყვის ადამიანებთან მიმტანი, მისგანაც ერი ისმენს და სწავლობს იმას, რისი სწავლაც, „...რისი მოსმენაც არ შეუძლია თავად ღმერთისგან“ (ბიბლია განმარტებებით, აპოკალიპსისი, მე-2 ნაწილი, 2021, გვ. 59). იგი წინასახეა პოეტისა, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანთა პოეზიაში ადამიანსა და ღმერთს შორის შუამავლად დეკლარირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბიბლია განმარტებებით, (2021). აპოკალიპსისი, გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, II, თბილისი: „პალიტრა L“.
- ბრეგვაძე, ვ. (2013). დედაენა როგორც ეროვნული იდენტობის საფუძველი გურამ რამიშვილის ენერგეისტული ენის თეორიაში, შედარებითი ლიტერატურის კრებული 1, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გურამიშვილი, დ. (2014). დავითიანი, თბილისი: „პალიტრა L“.
- გაფრინდაშვილი, ვ. (1986). დავით გურამიშვილი. პარალელები, ქართული ლიტერატურული ესეე, შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ, თბილისი: „მერანი“.
- გიგინეიშვილი, ი. (1983). ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბილისი: „მეცნიერება“.
- თათარაშვილი, თ. (2013). სულის წყვდიადში მზერა (თომას მანი და თეოდორ დოსტოევსკი), აისი, ლიტერატურული ჟურნალი, 2, 48-54.
- კეკელიძე, ვ. (1981). მარტვილობა აბო თბილელისა: გეოგრაფია თხზულებისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- კილანავა, ბ. (2009). რჩული შრომები, 1, თბილისი: „ინტელექტი“.
- რამიშვილი, გ. (2000). დედაენის თეორია. დედაენა, მისი ფუნქციები და მისი სწავლება“, თბილისი: „ქრონოგრაფი“.
- სირაძე, რ. (1982). საუბარი ქართულ ესთეტიკაზე, სახისმეტყველება, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“
- სირაძე, რ. (1987). ქართული აგიოგრაფია, თბილისი: „ნაკადული“.
- სირაძე, რ. (2008). კულტურა და სახისმეტყველება, I, თბილისი: „ინტელექტი“.
- ქიქოძე, გ. (1985). დავით გურამიშვილი, წერილები, ესეები, ნარკვევები, თბილისი: „მერანი“.
- ყუბანიშვილი, ს. (1955). დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ჯორბენაძე, ბ. (1987). დედაენის მესაიდუმლე (ესკიზი დავით გურამიშვილის სტილის საკითხებზე), ბალავარი მწერლობისა, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

Ауэрбах, Э. (1976). Мимесис; Изображение действительности в западноевропейской литературе, Москва: „Прогресс“.
Шмеман А. (1993). Великий пост, М.: „Московский рабочий“.

References:

- Auerbach, E. (1976). *Mimesis: The Representation of Reality in Western European Literature*, Moscow: "Progress" Publishing.
- Biblia ganmart'ebit. (2021). [Bible with Explanations. Apocalypse, The Revelation of Ioane the Theologian, II.]. Palitra L Publishing.
- Bregadze, K. (2013). *Dedaena rogoris erovnuli ident'obis safudzveli Guram Ramishvilis energeist'uli enis teoriashi*. [The Mother Tongue as the Foundation of National Identity in Guram Ramishvili Energeistic Language Theory, Collection of Comparative Literature 1,] Tbilisi: Ilia State University Press.
- Guramishvili, D. (2014). *Davitiani*. [Davitiani]. Tbilisi: Palitra L Publishing.
- Gabrindashvili, V. (1986). *David Guramishvili. P'aralelebi, kartuli lit'erat'uruli esse, sheadgina, ts'inasiq'vaoba daurto Manana Khelaiam*. [David Guramishvili. Parallels, Georgian Literary Essay, Edited, Preface and Study Annexed by Manana Khelaiam]. Tbilisi: "Merani".
- Gigineishvili, I. (1983). *Qartuli sityvis kulturis sakitxebi*. [Matters of Georgian Word Culture, Book V]. Tbilisi: "Metsniereba" Publishing.
- Jorbenadze, B. (1987). *Dedaenis mesaidumle (Esk'izi Davit Guramishvilis st'ilis sak'itkhebe)*. [Confidante of the Mother Tongue (Corquis on the Style Issues of David Guramishvili), Balavari Literature] Tbilisi: "Soviet Georgia" Publishing.
- Kekelidze, K. (1981). *Abo tbilelis wameba* [Martyrdom of Abo Tbileli: Geography of the Work, Studies from the History of Ancient Georgian Literature, XIV]. Tbilisi: "Tbilisi University Press".
- Kikodze, G. (1985). *Davit Guramichvili*. [David Guramishvili, Letters, Essays, Articles]. Tbilisi: "Merani" Publishing.
- Kilanava, B. (2009). *Rcheuli chromebi*. [Selected Works, 1]. Tbilisi: "Intellect" Publishing.
- Kubaneishvili, S. (1955). *Davit Guramichvili husarta polkchi*. [David Guramishvili in the Hussar Regiment]. Tbilisi: "Academy of Sciences of the Georgian SSR Publishing".
- Ramishvili, G. (2000). *Dedaenis teoria...* [Theory of "Dedaena". "Dedaena", Its Functions, and Its Teaching]. Tbilisi: "Khronografi" Publishing.
- Siradze, R. (1982). *Saubrebi qartul estetikaze*. [Discussion on Georgian Aesthetics, Iconology] Tbilisi: "Nakaduli" Publishing.
- Siradze, R. (1987). *Qartuli hagiografia* [Georgian Hagiography]. Tbilisi: "Nakaduli" Publishing.
- Siradze, R. (2008). *Kultura da saxsmetyveleba*. [Culture and Iconology, I]. Tbilisi: "Intellect" Publishing.
- Schmemann, A. (1993). *Schmemann A. The Great Lent*, Moscow: "Moscow Worker".
- Tatarashvili, T. (2013). *Sulis wyvdiadshi mzera*. [Gaze in the Darkness of the Soul (Thomas Mann and Fyodor Dostoevsky)]. *Aisi, Literary Journal*, 2, 48-54.